რედაქტორისაგან:

ბოლო 20 წლის განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო საქართველოს ფერტერული ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადინებამ გამოიწვია დემოგრაფიული პრობლემები (საზღვარგარეთ გასული მოსახლეობის 80% ფერტერული ასაკის ქალია). ყოველივე ამას ემატება მშობიარე ქალების ექოსკოპიით სქესის წინასწარი განსაზღვრა, რასაც მოსდევს 15% მდედრობითი სქესის ნაყოფის ხელოვნურად სიცოცხლის ხელყოფა. ყოველივე ეს მომავალში საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დააყენებს.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემები

ანზორ თოთაძე, პროფესორი

საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო XIII საუკუნის პირველ ნახევარში. 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობა 8 მილიონ კაცს უდრიდა. გამუდმებული შემოსევების შედეგად მოსახლეობა 1770 წლისათვის 761 ათასამდე შემცირდა, ხოლო 1800 წელს მან 675 ათასი კაცი შეადგინა. ამ პერიოდში შავი ჭირის გავრცელების შედეგად, როგორც ისტორიული წყაროები ცხადყოფენ, მისი მოსახლეობა თითქმის განახევრდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობამ 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა და ერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის 5,5-ჯერ გაიზარდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს – 5 467 ათასი კაცი. ცნობილი მიზეზების გამო ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და მხოლოდ ბოლო პერიოდში ოდნავ გაიზარდა, რის შედეგადაც 2011 წელს მან 4 469 ათასი კაცი შეადგინა.

2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარდა, საქართველოში 3 661 ათასი ქართველი ცხოვრობდა, რომლის წილმაც მთელ მოსახლეობაში 83,8 პროცენტი შეადგინა.

ისტორიულად სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობა, რაოდენობრივად ყოველთვის აღემატებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობას. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა – 39,5-ს, ხოლო სომხეთისა – 15,0 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. ამის შემდეგ აზერბაიჯანის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა და 2009 წელს მან 8 897 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო იმავე წელს საქართველოში მხოლოდ 4 385 ათასი, ანუ 4 512 ათასი კაცით ნაკლები ცხოვრობდა. ამავე პერიოდში მთელი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა 16 520 ათას კაცს უდრიდა. აქედან საქართველოს მოსახლეობის წილი მხოლოდ 26,5 პროცენტს შეადგენდა, სომხეთისა – 19,6 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანისა კი უკვე 53,9 პროცენტს უდრიდა.

არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991–2010 წლებში კი – 55 ათასი. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო და 2005 წელს საქართველოში უკვე 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. ძირითადად ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატებაც. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, კერძოდ, 1941-1945 წლებში, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2001-2005 წლებში მხოლოდ 5,8 ათასს, ხოლო 2006–2010 წლებში, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არასანდოობის მიუხედავად, ამ მაჩვენებლმა 58 ათასს მიაღწია და მაინც საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მეორე მსოფლიო ომისდროინდელ მონაცემებს.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკასიაში, სადაც მკვიდრი ერები – ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება არსებითად განსხვავდება სომხებისა და აზერბაიჯანელების დემოგრაფიული განვი-

თარების მაჩვენებლებისაგან.

საქართველოშიც კი ქართველების ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქვეყნაში ქართველების შემდეგ სხვა, მაგალითად, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების წარმომადგენელთა – აზერბაიჯანელთა, ბუნებრივ მატებას. მართალია, ამჟამად, მიმდინარე სტატისტიკა აღარ ამუშავებს დემოგრაფიულ მონაცემებს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, აღნიშნულ საკითხს მაინც თვალსაჩინოდ ახასიათებს 2003 წლის მონაცემები ეროვნული ნიშნის მიხედვით დიფერენცირებული ბუნებრივი მატების შესახებ. კერძოდ, დემოგრაფების გაანგარიშებით, 2003 წელს საქართველოში აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატების დონე 109-ჯერ აღემატებოდა ქართველების ბუნებრივი მატების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ისტორიულად ქართველები რაოდენობრივად ყოველთვის სჭარბობდნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს. 1965 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა გათანაბრდა, ხოლო ამჟამად აზერბაჯანელები ქართველებს უკვე 4,5 მილიონით აღემატებიან. ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობის პერმანენტული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტერესებს და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ძნელდება მათი რეალიზაცია, სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები კარგავენ ადრინდელ მიმზიდველობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ბევრია და ამდენად საკუთარი ინტერესების დაცვა – გაძნელებული.

ყოველივე აღნიშნული მით უფრო არსებითია, რომ უკვე, რაც არ უნდა გაუმჯობესდეს საარსებო პირობები, შობადობა კიდევ უფრო შემცირდება. ეს პროცესი გამოკვეთილად (თუ ასე გაგრძელდა და რადიკალური ზომები არ მივიღეთ), 7-8 წლის შემდეგ იჩენს თავს და პიკს 2020-იანი წლების დასაწყისში მიაღწევს. ამის მიზეზია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის არსებითი გაუარესება.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი, ჩვენ შეგვიძლია ეს პროცესი შევანელოთ და სასურველ შედეგს მხოლოდ საკმაო დროის გავლის შემდეგ მივაღწიოთ. საკმარისია ითქვას, რომ 1980-1989 წლებში, ანუ 10 წელიწადში საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა (შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით 1980-1989 წლების მონაცემებს გამოკლებულია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებლები, – კერძოდ კი ამავე წლებში დაბადებული გოგონების რაოდენობა), ხოლო 1995-2004 წლებში (ისევ 10 წელიწადში) მხოლოდ 238 ათასი გოგონა, ანუ 217 ათასით ნაკლები. ბოლო, ისევ ათ წელიწადში (2000-2009 წლები) დაიბადა 236 ათასი გოგონა, ანუ 219 ათასით ნაკლები გოგონა, 1980-1989 წლებთან შედარებით.

ამრიგად, ძირითადად ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუარესების შედეგად, განვლილ პერიოდში შობადობის საერთო კლების კვალობაზე მკვეთრად შემცირდა დაბადებული ქალების რაოდენობა და ამის გამო შობადობის შემდგომ შემცირებას, თუნდაც ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, ქვეყანა უკვე ვეღარ აცდება. მართალია, ცხოვრების დონის ამაღლების შემთხვევაში საშუალოდ ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მეტ ბავშვს დაბადებს, მაგრამ, გარემიგრაციული პროცესების მიუხედავად, იგი მაინც ვერ მოახდენს წინა პერიოდში დაბადებული ქალების რაოდენობის კლების შედეგად გამოწვეული შობადობის შემცირების საგრძნობ კომპენსაციას. მომავალში ეკონომიკური ზრდის პარალელურად თავს იჩენს შრომითი რესურსების ნაკლებობის პრობლემა, რასაც აუცილებლად მოყვება მეტად საშიში, არასასურველი იმიგრაციული პროცესი და ქვეყანა მოკლე ხანში დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, თუ უკვე არ ვდგავართ ამ კატასტროფის პირას.

საქართველოში შობადობის სისტემატურ შემცირებას კიდევ უფრო ზუსტად გვიჩვენებს განზოგადებული დემოგრაფიული კოეფიციენტები. მაგალითად, შობადობის საშუალო დონეს მოცემულ კალენდარულ პერიოდში უფრო ნათლად ახასიათებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვეჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენ ბავშვს ბადებს ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

როგორც ცნობილია თაობათა ერთი და იმავე რაოდენობით შეცვლისათვის აუცილებელია, რომ საშულოდ ერთ ქალზე მოდიოდეს 2,1

ბავშვი, ანუ ერთმა ქალმა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გააჩინოს 2,1 ბავშვი. მართალია, 2 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში თითქოსდა ანაზღაურდება მშობლები, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მაღალია ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ყველა დაბადებული ბავშვი ვერ აღწევს ბავშვთაშობის ასაკს, როდესაც თვითონ უნდა გახდეს დედა, ყველა ვერ გათხოვდება და ოჯახების ნაწილი უნაყოფოა. ამიტომაც მოსახლეობის თანაბარი გამრავლებისათვის საჭიროა, რომ ყოველმა ქალმა საშუალოდ 2,1 ბავშვი გააჩინოს.

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი ქალი საშუალოდ 1,3 ბავშვს აჩენდა, რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი მშობლის ანაზღაურების ტოლფასია.

ქართულ მოსახლეობაში მასობრივად ვრცელდება მცირეშვილიანობა. სულ უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი მთელ დაბადებულთა 36,5 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 13,6 პროცენტს უდრიდა. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში განსაკუთრებით მაღალია პირმშოთა დაბადების წილი. მაგალითად, 2009 წელს 33 651 ბავშვი დედებისათვის პირველი შვილი იყო (53,1 პროცენტი). ანალოგიური მაჩვენებელი 1960 წელს მხოლოდ 34,7 პროცენტს შეადგენდა.

ტრადიციულად საქართველოში მოკვდაობის დონე დაბალი იყო როგორც მეზობელ, ისე ევროპის უმრავლეს ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ უკანასკნელ წლებში ის მნიშვნელვნად გაიზარდა. კერძოდ, თუ მოსახლეობის ათას სულზე 1960 წელს 6,5 კაცი გარდაიცვალა, ეს მაჩვენებელი 2010 წელს 10,7 პრომილეს უდრიდა. გარდაცვლილთა შორის ქალებთან შედარებით, მაღალია მამაკაცთა წილი. მაგალითად, 2008 წელს 15-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობიდან 73,8 პროცენტი მამაკაცია. მამაკაცთა საკმაო ნაწილი საპენსიო ასაკსაც ვერ აღწევს. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელ საპენსიო ასაკს, ამ ასაკს მიღწეული მამაკაცებისათვის პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ 13,7 წელს გრძელდება, ხოლო ქალებისათვის – 20,2 წელს. მაღალია ბავშვთა მოკვდავობის დონეც. მართალია, 2009 წელს 63 377 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მაღალია ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა სიკვდილიანობა. კერძოდ, 2009 წელს ერთ წლამდე ასაკში 945 ბავშვი გარდაიცვალა, ანუ ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე 14,9 ბავშვი. 2005 წელს ეს მაჩვენებელი 23,8 პრომილეს უდრიდა და ყველაზე მაღალი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. კიდევ უფრო შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს ციფრები, თუ ბავშვთა სიკვდილიანობას ხანგრძლივ პერიოდში განვიხილავთ. კერძოდ, 1980-2004 წლებში ანუ 25 წლის განმავლობაში 43 940 ბავშვი გარდაიცვალა ერთ წლამდე ასაკში, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენი ბავშვიც ქვეყანაში დაიბადა 2004 წელს. სამწუხაროდ, ამით როდი მთავრდება ყველაფერი. ასევე მაღალია მკვდრად დაბადებულთა რიცხვი. ამავე წელს 722 ბავშვი მკვდარი დაიბადა, ანუ ყოველ 1000 დაბადებულზე მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 15,3 ბავშვს უდრიდა. 1980-2004 წლებში კი მკვდარი დაიბადა თითქმის 16 500 ბავშვი. ამრიგად, ამ პერიოდში ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა და მკვდრადშობილთა რაოდენობამ 60 440 ბავშვი შეადგინა. სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, ბავშვთა უკეთ მოვლა-პატრონობისა და სათანადო ცოდნის გავრცელებისათვის დამატებითი ძალისხმევის პირობებში, თუ ჩვენ მივაღწევდით განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლების დონეს, მაშინ მხოლოდ 2004 წელს შეიძლებოდა 1 370-ზე მეტი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა, სულ კი 1980-2004 წლებში დაახლოებით 48 ათას ბავშვს შევუნარჩუნებდით სიცოცხლეს, ანუ იმაზე მეტს, რამდენი ბავშვიც დაიბადა ქვეყანაში 2005 წელს.

მართალია, ამჟამად არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში შემცირდა ყოველ ათას ბავშვზე ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა, მაგრამ ეს მაჩვენებელი გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდის მონაცემებით 2010 წელს გაცილებით მაღალი იყო – ყოველ 1000 დაბადებულზე ერთ წლამდე ასაკში 33 ბავშვი გარდაიცვალა და ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 99 ადგილზე იმყოფება.

ქართულმა სახელმწიფოებრიობამ გამოხატულება უპირველესად ქართულ სოფელში ჰპოვა. სოფელმა განსაზღვრა ქართული ცხოვრების წესი, კულტურა, ტრადიციები, ქცევის ნორმები, ადათი და რიტუალები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მდიდრდებოდა და საბოლოოდ ქართველი ხალხის ფსიქიკურ წყობასა და ერთობაში იჩენდა თავს. სოფლად შექმნილი ტრადიციები თანდათანობით იხვეწებოდა და მთელი ხალხის კუთვნილება ხდებოდა. ჩვენი ეროვნულობაც სწორედ ქართველი გლეხის

შრომისმოყვარეობას, სულიერი ცხოვრების განუმეორებლობას, ორიგინალობასა და ინდივიდუალობას ეფუძნება.

ქართველი მეფეები და ქართული საზოგადოებაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ სოფლის განვითარებისა და აღორძინებისათვის, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის კეთილდღეობა გლეხობაზე იყო დამყარებული. მეფე-პოეტ არჩილს (1647–1713) ყველაზე დიდ ეროვნულ ტრაგედიად გლეხობის ამოწყვეტა მიაჩნდა და ამკვიდრებდა გლეხობის დაცვის იდეას: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა.“ გაუკაცრიელებული („კახეთი იყო უკაცო“) და აოხრებული სოფლების გამო სასოწარკვეთილი მეფე, თეიმურაზ პირველი (1589–1663) კი ამბობდა: „სახელმწიფო დამეკარგაო.“

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფე არჩილი შესანიშნავად იცნობდა ქართველი გლეხის ბუნებას და მის ხასიათში, უპირველეს ყოვლისა, თავდაჭერილობასა და დარბაისლურ ჩვევებს ხედავდა. იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „გლეხნი იყვნენ, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნენ.“

უაღრესად საინტერესოა, რომ უცხოელმა მოგზაურებმაც სწორედ ეს თვისებები დაინახეს ქართველ გლეხში. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელმაც 1672–1673 წლებში იმოგზაურა საქართველოში და კერძოდ, ქართულ სოფლებში, აღნიშნავდა: „ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე, დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან,“ ამასთან, უფრო უფლებამოსილნი, ამაყნი, თავმომწონენი და დიდების მოყვარული ხალხიაო.

ამჟამად ერის სულიერ ცხოვრებაში სოფლის როლი სულ უფრო ქვეითდება და ეკონომიკურ ცხოვრებაშიც მისი მნიშვნელობა საგრძნობლადაა შემცირებული. არადა ქართული სოფელი ყოველთვის კვებავდა ქალაქს, როგორც სურსათით, ასევე ინტელექტუალური ძალებითაც. მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნეშიც კი, თითქმის ყველა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი მწერალი, პოეტი, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე წარმოშობით სოფლიდან იყო. აკაკი წერეთელიც აღნიშნავდა, რომ რაც მასში კარგი იყო, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ის სოფელში აღიზარდა.

საქართველოში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა, რომლის დროსაც საქართველოში 3 668 სოფელი აღირიცხა. აქედან 3 050 სოფელში ეროვნებით ქართველი მოსახლეობა ჭარბობდა, 171 სოფელში – აზერბაიჯანელი, 139-ში – სომეხი, 103-ში – ოსი, 26-ში – ბერძენი, 8-ში ქისტი, 4-ში – ავარელი, 3-ში – რუსი და ა.შ. ამ სოფლების მოსახლეობამ 2 087 ათასი კაცი შეადგინა, ანუ ორ უკანასკნელ აღწერათაშორის პერიოდში (1989–2002 წლები) 323 ათასი კაცით შემცირდა და მთელი მოსახლეობის 47,7 პროცენტი შეადგინა.

ამავე აღწერის მონაცემებით 5 000 კაცზე მეტი ცხოვრობდა 28 სოფელში, მათ შორის, პირველ ადგილზეა მარნეულის რაიონის სოფელი სადახლო – 9 486 კაცი, მეორე ადგილი უკავია მცხეთის რაიონის სოფელ დიღომს – 8 746 კაცი, მესამე – თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალას – 8 270 კაცი და ა.შ.

ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელია გაუკაცრიელებული – გაცივდა უკანასკნელი კერა. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით 162 სოფელში უკვე მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. 10 კაცი და უფრო ნაკლები მოსახლეობაა 152 სოფელში, ხოლო 905, ანუ ყოველ მეოთხე სოფელში მხოლოდ 100 კაცამდე მცხოვრებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადად მთის ძნელადმისადგომ სოფლებში უგზოობის, უშუქობისა და ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე ძირითადად მოხუცებიღაა დარჩენილი, რომლებიც უიმედოდ ითვლიან თავიანთი ცხოვრების დარჩენილ დღეებს.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ მოსახლეობისაგან ცარიელდება საქართველოს ისტორიული კუთხეები – რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი იქ მხოლოდ 22 ათასი კაცი ცხოვრობს, ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები. ამასთან, თუ ადრე უმეტესად დროებით და სეზონურ მიგრაციას ჰქონდა ადგილი, ამჟამად მან მუდმივი და შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ძალიან ცოტანი დარჩნენ ე.წ. მოზამთრე რაჭველებიც. რაჭის მოსახლეობისაგან დაცლას კიდევ უფრო მეტად იწვევს მოსახლეობის ბუნებრივი კლება, ანუ გარდაცვლილთა რიცხვის სიჭარბე ახალშობილთა რიცხვთან. 1990–2010 წლებში რაჭაში მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ 7 547 კაცი შეადგინა. თუ ასე გაგრძელდა და საგანგებო ღონისძიებები არ განხორციელდა და რაჭა ღვთის ანაბარად დარჩა, ორ-სამ ათწლეულში იგი მოსახლეობისგან დაიცლება. 1990–2010 წლებში ერთი წელიც არ ყოფილა ისეთი, რომ რაჭის მოსახლეობა არ შემცირებულიყოს. ანალოგიური ვითარებაა სხვა მთიან რეგიონებშიც. პრობლემა კიდევ უფრო მძიმდება იმის

გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთის საზღვართან მდებარე სვანეთის, რაჭისა და ყაზბეგის რაიონებში 40 ათასი კაცი, ფაქტობრივად, ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების შედეგად, უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებელები საგრძნობლად გაუარესდება.

ამჟამინდელი მდგომარეობით, სოფლად გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე ქალაქად, მაშინ როდესაც ადრე პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1975 წელს, როდესაც ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა გათანაბრდა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად 45 ათასი ბავშვი დაიბადა. 2007 წელს კი ქალაქად 34,3 ათასი ბავშვი დაიბადა, ხოლო სოფლად მხოლოდ – 14,9 ათასი ბავშვი. 2008 წლის შესაბამისი მაჩვენებლები 39,2 ათასსა და 17,3 ათასს უდრიდა. ამასთან, შობადობის დონე ქალაქად ორჯერ მაღალია სოფელთან შედარებით. კერძოდ, 2009 წელს ქალაქად მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 18,7 ბავშვი დაიბადა, ხოლო სოფლად კი – 9,5 ბავშვი.

შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის მატების შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი მატებაც და, განსაკუთრებით სოფლად. ამ მოვლენას ნათლად გვიხასიათებს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 1997-2004 წლების მონაცემები.

სოფლად გარდაცვალების შემთხვევები გაცილებით მეტია, ვიდრე დაბადების შემთხვევები, განსაკუთრებით ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. მხოლოდ აჭარაშია სოფლად მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება. დანარჩენ, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში, სოფლად ყველგან უკლებლივ მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ასეა თითქმის ყველა რაიონში. საქართველოში

საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება (კლება) მხარეების მიხედვით 1997-2004 წლებში[1]

წლები / მხარეები	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	სულ 1997–2004
საქართველო სულ	- 1699	-4313	-5832	-6497	-7107	-7752	-5563	-718	-39481
აჭარა	1304	1105	934	640	436	211	425	1626	6681
გურია	-632	-688	-863	-883	-977	-950	-689	-640	-6322
იმერეთი	-1774	-2251	-2581	-2730	-2662	-2876	-2148	-2145	-19167
კახეთი	-772	-1036	-1276	-1347	-1830	-2103	-1428	-985	-10977
მცხეთა-მთიანეთი	-79	-216	-358	-542	-527	-490	-476	-181	-2869
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-506	-468	-441	-305	-303	-330	-410	-458	-3221
სამეგრელო და ზემო სვანეთი	-675	-813	-909	-1241	-923	-1056	-1172	-493	-7282
სამცხე-ჯავახეთი	464	146	121	362	165	178	53	693	2182
ქვემო ქართლი	1043	371	-68	158	-95	-276	-28	1789	2894
შიდა ქართლი	-72	-463	-391	-409	-391	-60	310	76	-1400

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა[2]

წლები	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
1950-1959	799 453	248 048	551 405
1960-1969	850 908	276 034	574 874
1970-1979	792 371	339 014	453 357
1980-1989	833 624	400 560	433 064
1990-1999	623 013	495 258	127 755
2000-2009	**502 296**	**448 712**	**53 584**

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საჩხერის რაიონი, სადაც საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, საცხოვრებელი პირობების არსებითი გაუმჯობესების კვალობაზე როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობაც განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, 2005-2010 წლებში საჩხერის რაიონში სოფლის მოსახლეობა 846 კაცით გაიზარდა, ხოლო მეზობელი ჭიათურის რაიონში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ჰქონდა ადგილი – 990 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობა ისეთივე სიდიდით რომ გაზრდილიყო, როგორც საჩხერის რაიონის სოფლის მოსახლეობა გაიზარდა, მაშინ ქვეყნის სოფლის მოსახლეობა მარტო 2010 წელს 16 ათასი კაცით გაიზრდებოდა.

საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული მხარეების სოფლის მოსახლეობის წილი შესაბამისი რეგიონის მოსახლეობაში საგრძნობლად მაღალია. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 80,8 პროცენტი, კახეთში – 79,4 პროცენტი, გურიაში 73,6 პროცენტი და ა.შ. ამასთან, ქალაქების მოსახლეობაც სოფელს არის მიჯაჭვული. ამიტომ ხალხის კეთილდღეობისა და გამრავლებისათვის ქართულ სოფელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება (– კლება) რეგიონების მიხედვით 1980-1989 და 2000-2009 წლებში[3]

	1980-1989	2000-2009
საქართველო	433 064	53 584
თბილისი	87 384	29 057
აჭარა	51 387	21 296
გურია	8 101	– 3 448
იმერეთი	50 654	– 8 282
კახეთი	32 827	– 9 752
მცხეთა-მთიანეთი	10 112	– 1 735
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	– 1 901	– 4 154
სამეგრელო-ზემო სვანეთი	30 005	1 177
სამცხე-ჯავახეთი	34 656	5 456
ქვემო ქართლი	100 231	18 426
შიდა ქართლი	29 608	5 543

სოფლად დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარეობაზე ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, შემდეგ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, უკანასკნელ წლებში უაღრესად ინტენსიური გახდა არა მარტო გარემიგრაციული, არამედ შიდამიგრაციული პროცესებიც. სოფლის მოსახლეობა მაინც უპირატესად შიდამიგრაციულ პროცესებშია ჩართული. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით წინა 9 წლის განმავლობაში 437 232 პირმა შეიცვალა ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი. ადამიანთა უმეტესობა საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. 437 ათასი კაციდან 423 ათასი (96,8 პროცენტი) ქართველი იყო. ამრიგად სოფლები თითქმის მთლი-

[2] ცხრილი გაანგარიშებულია ჩვენ მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

[3] ცხრილი გაანგარიშებულია ჩვენ მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ანად ქართველი მოსახლეობისაგან იცვლება. აღნიშნულ 9 წელიწადში საქართველოში საცხოვრებელი შეიცვალა მხოლოდ 4 309 აზერბაიჯანელმა (შიდა მიგრაციაში მონაწილე მოსახლეობის მხოლოდ 1,0 პროცენტმა) და 3 967 სომეხმა (0,9 პროცენტმა).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ყოველმხრივ გააზრებული, აწონდაწონილი და ეფექტური დემოგრაფიული ღონისძიებების განხორციელება, რათა ქართული სოფელი ყველა იმ სიკეთით შევინარჩუნოთ, რასაც იგი ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს და რაც ასე იდეალიზებულია ქართველი ხალხის მიერ. ასე რომ, საქართველოს ხსნა სოფლის ეკონომიკურ და შესაბამისად, მის დემოგრაფიულ აღორძინებაში მდგომარეობს.

ქართველმა ხალხმა გაუძლო კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ქარტეხილებს და შეძლო „განსაცვიფრებლად ხანგრძლივი არსებობა დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას“ (ი. გოგებაშვილი). თუ გვინდა, მართლაც, სახიფათო, მაგრამ ღვმთისმშობლის წილხვედრ უმშვენიერეს მიწაზე სიცოცხლის გაგრძელება, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი – უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემები უნდა მოვაგვაროთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მოსალოდნელი დემოგრაფიული საფრთხეებია:

1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება;
2. შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა;
3. სიკვდილიანობის საგრძნობი გაზრდა;
4. წინა ორი ტენდენციის შედეგად, როცა არსებითად იმდენივე იბადება, რამდენიც კვდება, მოსახლეობის ბუნებრივი მატების თითქმის შეჩერება და, ფაქტობრივად, დეპოპულაციის პროცესის დაწყება;
5. მოსახლეობის დაბერება;
6. შიდა და გარე მიგრაციული პროცესების ფართო მასშტაბები;
7. აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან 300 ათასამდე განდევნილი;
8. ბაშვთა სიკვდილიანობის და მკვდრადშობადობის საკმაოდ მაღალი დონე;
9. უმუშევრობის მაღალი დონე;
10. შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება;
11. დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;
12. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილის მკვეთრი შემცირება;
13. ნეგატიური დე-

საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა ცალკეულ წლებში (ათასი კაცი)[4]

წლები	საქართველო	აზერბაიჯანი	საქართველოს მოსახლეობის აზერბაიჯანის მოსახლეობაზე მეტობა (ნაკლებობა)
1897	1894	1807	+87
1926	2677	2314	+363
1939	3540	3205	+335
1959	4044	3698	+346
1964	4389	4369	+20
1965	**4450**	**4509**	**–59**
1966	4505	4640	–139
1970	4686	5117	–431
1979	5015	6028	–1013
1989	5401	7021	–1620
2002	4371	8141	–3770
2009	4385	8897	–4512

[4] Население СССР 1987, М., 1988, с. 11; Population of Azerbaijan 2006, Baku, 2006, p. 21; საქართველოს რესპუბლიკის წელიწდეული 2009, თბ., 2010, გვ. 17; აზერბაიჯანის მოსახლეობის შესახებ 2009 წლის მონაცემი აღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალებიდან.

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება (– კლება) 2006-2009 წლებში[5]

მუნიციპალიტეტები	2006	2007	2008	2009	სულ ოთხ წელიწადში
ბაღდადის	–147	–84	–106	–102	–439
ვანის	–170	–121	–124	–87	–502
ზესტაფონის	–169	–41	–136	–116	–462
თერჯოლის	–239	–127	–186	–149	–701
სამტრედიის	–70	–61	2	36	–93
საჩხერის	**24**	**181**	**149**	**147**	**501**
ტყიბულის	–109	–95	–92	–61	–357
წყალტუბოს	–120	–92	–62	–69	–343
ჭიათურის	–272	–139	–236	–199	–846
ხარაგაულის	–132	–100	–126	–117	–475
ხონის	–63	–66	–12	5	–136

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა X-XXI საუკუნეებში (1000 კაცი)

წლები	სულ მოსახლეობა	მათ შორის ქალაქელი	
		აბსოლუტურად	%
X–XI საუკუნეში	1370	–	–
1254*	8000	–	–
1770	761	–	–
1800	675		–
1810-იანი წლების I ნახევარში	≈400	–	–
1897*	2109	1336	63,3
1926*	2667	1788	67,1
1959*	4004	2601	64,3
1979*	5015	3433	68,5
1989*	5400	3787	70,1
2002*	4372	3661	83,7
2011	4469	–	–

მოგრაფიული პროცესებისა და შესაბამისი საფრთხეების ალბათობის მნიშვნელოვნად ზრდის ისეთი არასასურველი ტენდენცია, როგორიცაა ქორწინებათა რიცხვის საგრძნობი შემცირება და განქორწინებათა ზრდა;

14. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დემოგრაფიული პროცესების უმართავობა, სპონტანური, იშვიათი, უსისტემო და სერიოზული რეალური შედეგების არმქონე ღონისძიებები, სახელმწიფო სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამების არარსებობა;

15. სახელმწიფოსა და საზოგადოების უმეტესი ნაწილის გაუცნობიერებლობა, გულგრილობა, ნიჰილიზმი და რეალურ ქცევებსა და ცხოვრებაში გაუთვალისწინებლობა, თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით რა სერიოზული, საგანგაშო დემოგრაფიული [illegible] ს საქართველოში.

საქართველოში დაბადებული ბავშვების რაოდენობა ათწლეულების მიხედვით 1960-1969 და 2000-2009 წლებში[6]

წლები	დაბადებული გოგონების რაოდენობა
1960-1969	466 622
1970-1979	433 361
1980-1989	454 960
1990-1999	306 395
2000-2009	236 681

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცხრილები შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2. Население СССР 1987, М., 1988, с. 11; Population of Azerbaijan 2006, Baku, 2006, p. 21; საქართველოს რესპუბლიკის წელიწდეული 2009, თბ., 2010, გვ. 17; აზერბაიჯანის მოსახლეობის შესახებ 2009 წლის მონაცემი აღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალებიდან.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

[6] ცხრილი გაანგარიშებულია ჩვენ მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.